მარნეულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, პროგრამები, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები 2018-2021 წლებისთვის

მარნეულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი წარმოადგენს მარნეულის მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე და დასაგეგმი შემდგომი სამი წლისათვის.

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად, პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართულმა სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, მარნეულის მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურის დასვენებისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2018 -2021 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება
- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;

2016 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 23 114 934 ლარით, ფაქტიურმა შერულებამ შეადგინა 22 759 033 ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 98.46%.

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 22 449 944 ლარი, მათ შორის:

გადასახადების სახით მობილიზებულია 8 770 152 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 8 829 000 ლარის 99.33%-ია.

გრანტების სახით მიღებულია 10 803 750 ლარი, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი – 4 612 500 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 244 424 ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან – 3 770 081 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში – 2 176 745 ლარი,

სხვა შემოსავლების ფაქტმა შეადგინა შეადგენს 2 876 042 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 93,83 %–ია.

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 5252,8 ათასი ლარი;
- თავდაცვა – 181,0 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა – 7718.1 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა – 1089,9 ათასი ლარი;
- საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 3535,1 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა – 143.2 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია – 2661.8 ათასი ლარი;
- განათლება – 2431,5 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა – 1085,8

განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 2016 წელს გახარჯული სახსრები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ✓ მმართველობა – 5 343 463 ლარი;
- ✓ თავდაცვა – 180 953,36 ლარი.
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება – 12 343 190,60 ლარი;
- ✓ განათლება – 2 413 781.35 ლარი;
- ✓ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 2 661 770,87 ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა – 143 228,96 ლარი;
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა – 1 010 520,85 ლარი;
- ✓

- **2016 წლის განმავლობაში სოციალურ პროგრამებზე გახარჯულმა თანხამ შეადგინა 1 010 521 ლარი და განხორციელდა მარნეულის მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური დახმარებები, კერძოდ:**

- ✓ ასი და მეტი წლის უხუცესთა დახმარების პროგრამა;
- ✓ დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარება;
- ✓ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება ;
- ✓ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება ;
- ✓ სტუდენტების სოციალური დახმარება ;
- ✓ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება;
- ✓ ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება ;
- ✓ უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა ;
- ✓ ხანძრებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება ;
- ✓ საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობის თვის მებრძოლთა(ვეტერანთა) ოჯახების სოციალური დახმარება ;
- ✓ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი ფულადი დახმარება ;
- ✓ დიალეზზე მყოფი ადამიანების ერთჯერადი სოციალური დახმარება ;
- ✓ სოციალურად დაუცველი მარტოხელა დედების ერთჯერადი სოციალური დახმარება.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა 12 343 191 ლარის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, კერძოდ;

- ✓ გზებისა და ხიდების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, მოვლა–შენახვა - 4 448 079 ლარი;
- ✓ სარწყავი არხების მოწყობა, რეაბილიტაცია და გაწმენდა – 666 971 ლარი;
- ✓ სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 2 220 669 ლარი;
- ✓ საკანალიზაციო სისტემების მოწყობა–რეაბილიტაცია – 14 892 ლარი;
- ✓ მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია – 41 163 ლარი;
- ✓ გარე–განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 829 919 ლარი;
- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა–დასუფთავება – 1 075 024 ლარი;
- ✓ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება – 350 000 ლარი;
- ✓ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო, საკადასტრო და აზომვითი დოკუმენტაციის დამზადება – 6 099 ლარი;
- ✓ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში – 1 809 080 ლარი;
- ✓ სკვერებისა და პარკების გაშენება–რეაბილიტაცია – 436 825 ლარი;
- ✓ სასაფლაოებისა და სარიტუალო სახლების მოეყობა – 444 470 ლარი;

2017 წელი - ბიუჯეტის მაჩვენებლები

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი) განსაზღვრულია 26 250 817 ლარით.

2017 წლის 9 (ცხრა) თვის ფაქტიური შემოსავლები:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5 708 952 ლარი, რაც წლიური გეგმის (9 889 000 ლარი) 57,73 %-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში გეგმით გათალისწინებულმა თანხებმა, ფაქტებით შეადგინა: გათანაბრებითი ტრანსფერი - 3 502 400 ლარი (წლიური გეგმის 66,67%.), მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 183 438 ლარი (გეგმის 73,38%.), საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 1 642 511 ლარი (გეგმით 3 348 195).

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 3 015 924 ლარი, რაც წლიური გეგმის 76.96%-ია. ხოლო არაფინანსური აქტივებიდან მობილიზებულია 177 020 ლარი, რაც გეგმის 39,44%–ს შეადგენს.

განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 2017 წელს 9 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა:

- ➢ ინფრასტრუქტურის განვითარება – 6 869 273 ლარი;
- ➢ განათლება – 1 819 910 ლარი;
- ➢ მართველობა - 2 915 359 ლარი;
- ➢ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 1 268 008 ლარი;
- ➢ ჯანმრთელობის დაცვა – 585 170 ლარი;
- ➢ სოციალური უზრუნველყოფა – 201 072 ლარი;
- ➢ თავდაცვა – 115 339 ლარი.

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები 2016-2021 წლებში

დასახელება	2016წლის ფაქტი	2017წლის გეგმა	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
შემოსავლები	**22249.1**	**22680.9**	**19411.8**	**19574.0**	**19636.0**	**19729.0**
გადასახადები	**3912.3**	**9889.0**	**8600.0**	**8733.0**	**8806.0**	**8888.0**
გრანტები	**15051.6**	**8872.9**	**6253.8**	**6260.0**	**6260.0**	**6260.0**
სხვა შემოსავლები	**3285.2**	**3919.0**	**4558.0**	**4581.0**	**4570.0**	**4581.0**
ხარჯები	**11828.0**	**13599.6**	**13573.1**	**12779.6**	**12628.8**	**12516.3**
შრომის ანაზღაურება	2512.6	2602.0	2616.4	2624.8	2624.8	2624.8
საქონელი და მომსახურება	2548.0	3133.2	3300.5	3135.5	3145.5	3197.5
პროცენტი	102.5	64.5	42.9	20.3	4.4	0.0
სუბსიდიები	5044.9	5805.2	6451.3	5840.0	5740.0	5580.0
გრანტები	190.8	45.0	45.0	45.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	839.9	928.3	783.0	885.0	885.0	885.0
სხვა ხარჯები	589.3	1021.3	334.0	229.0	229.0	229.0
საოპერაციო სალდო	**10421.1**	**9081.3**	**5838.7**	**6794.4**	**7007.2**	**7212.7**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**11616.2**	**11915.1**	**5654.7**	**6625.5**	**6919.8**	**7212.7**
ზრდა	11882.3	12363.9	6154.7	6965.5	7259.8	7552.7
კლება	266.1	448.8	500.0	340.0	340.0	340.0
მთლიანი სალდო	**-1195.0**	**-2833.8**	**184.0**	**168.9**	**87.4**	**0.0**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-1774.8**	**-3121.1**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
ზრდა	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	**1774.8**	**3121.1**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
ვალუტა და დეპოზიტები	1774.8	3121.1	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	**-579.8**	**-287.3**	**-184.0**	**-168.9**	**-87.4**	**0.0**
კლება	579.8	287.3	184.0	168.9	87.4	0.0

საშინაო	579.8	287.3	184.0	168.9	87.4	0.0
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

მარნეულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, პროგრამები, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2018 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, კეთილმოწყობა. არსებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიულ ორგანოებში უზრუნველყოფილი იქნება სარწყავი არხების გაწმენდა–რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

კოდი	**დასახელება**	**2018 წელი**	**2019 წელი**	**2020 წელი**	**2021 წელი**
03 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**8779.8**	**8168.0**	**9106.8**	**9099.7**
03 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**	**2946.5**	**3590.0**	**4528.0**	**4792.0**
03 02	**კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**5027.8**	**4046.0**	**4043.8**	**3757.7**
03 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	**1134.2**	**1095.0**	**1437.3**	**1332.7**
03 02 02	შპს "მარნეულის სოფლის წყალი"–ს დაფინანსება	**700.0**	**500.0**	**400.0**	**300.0**
03 02 03	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	**898.5**	**45.0**	**0.0**	**0.0**

03 02 04	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	**25.0**	**25.0**	**125.0**	**25.0**
03 02 05	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	**1073,6**	**1160.0**	**931.5**	**960.0**
03 02 06	"ააიპ სუფთა მარნეული"–ს დაფინანსება	**1100.0**	**1100.0**	**1100.0**	**1100.0**
03 02 07	„მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“–ს დაფინანსება	**80.0**	**50.0**	**50.0**	**40.0**
03 02 08	სასაფლაოების და სარიტუალო სახლების მოწყობა და რეაბილიტაცია	**16.5**	**60.0**	**0.0**	**0.0**
03 03	**მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**	**345.5**	**232.0**	**285.0**	**350.0**
03 03 01	სკვერებისა და პარკების გაშენება–რეკონსტრუქციისა და ქალაქის გამწვანების და მოვლა პატრონობის ღონისძიებები	**345.5**	**232.0**	**285.0**	**350.0**
03 04	**მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები**	**460.0**	**300.0**	**250.0**	**200.0**

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდა კვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, კერძოდ , ქ. მარნეულში წმინდა გიორგის ტაძრამდე ბეტონის გზის მოწყობა,სოფ. მარეთში კორპუსებთან მისასვლელი გზის და ეზოების რეაბილიტაცია,სოფ. ოფრეთის ხიდის რეაბილიტაცია,სოფ. წერეთელში გაჩერებების მოწყობა,სოფ. შაუმიანი–ხიხანის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება,სოფ. კასუმლოში ავტობუსის გაჩერების ადგილის მოწყობა,სოფ. ახლოლალოს შიდა გზების მოხრეშვა,სოფ. ბურმაში შიდა გზების მოხრეშვა,სოფ. წითელი სოფლის შიდა გზის მოასფალტება.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტების შესაბამისად სულ 1271,5 ათასი ლარი, მათ შორის:

- სოფ. ხანჯიგაზლოს გზის რეაბილიტაცია II ეტაპი–81,3 ათ.ლარი
- სოფ. კაჩაგანის გზის რეაბილიტაცია II ეტაპი–167,4 ათ.ლარი
- სოფ. მუღანლოს გზის რეაბილიტაცია II ეტაპი–106,1ათ.ლარი
- სოფ. ბაიდარის გზის რეაბილიტაცია II ეტაპი–107,1ათ.ლარი
- სოფ. ქუთლიარის გზის რეაბილიტაცია II ეტაპი–11.9 ათ.ლარი
- სოფ. თაქალოში ადგილობრივი შიდა გზების რეაბილიტაცია–135,3ათ.ლარი
- სოფ. ლეჟბადინის შიდა გზების რებილიტაცია–217,3ათ.ლარი
- სოფ. შაუმანის გზის რეაბილიტაცია II ეტაპი–184,8ათ.ლარი
- სოფ. ალგეთის გზის რეაბილიტაცია II ეტაპი–139,5ათ.ლარი
- სოფ. თამარისის გზის რეაბილიტაცია II ეტაპი–135,3ათ.ლარი

ტექზედამხედველობის განხორციელებისათვის გათვალისწინებული იქნება თანხა 230,0 ათ.ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება შიდა რაიონული მნიშვნელობის გზები, ასევე შეკეთდება და აღდგება ხიდები, რითაც მნიშვნელოვლად მოწესრიგდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოებთან მისასვლელი გზები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გზების გამტარუნარიანობის გაზრდა;
- მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულ პუნქტებამდე გადაადგილების დროის შემცირება;

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოებში წყალმომარაგების, სარწყავი არხების, ქ. მარნეულის საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება ახალი ნაგავსაყრელის გამართული ფუნქციონირება, მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

1.2.1 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სასმელი წყლის სისტემის მოწყობა– რეაბილიტაცია მოსახლეობის ზედაპირული გრუნტის წყლის მოხვედრისაგან დაცული, მაღალი ხარისხის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ სოფ. ბაიდარის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა,სოფ. ყუდროსა და მარადისში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია,სოფ. ულაშლოში სასმელი წყლის რეაბილიტაციის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტების შესაბამისად სულ 865,5 ათასი ლარი, მათ შორის:

- სოფ. სადახლოს სასმელი წყლის რეაბილიტაცია II ეტაპი– 360,7 ათ.ლარი
- სოფ. აღმამედლოს სასმელი წყლის რეაბილიტაცია II ეტაპი–139,3 ათ.ლარი

- სოფ. კირაჩ–მუღანლოს სასმელი წყლის რეაბილიტაცია–365,5 ათ.ლარი

ტექზედამხედველობის განხორციელებისათვის გათვალისწინებული იქნება თანხა 119,5ათ.ლარის ოდენობით.

1.2.2 შპს "მარნეულის სოფლის წყალი"–ს დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოების სოფლებისათვის სასმელი წყლის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით შ.პ.ს „მარნეულის სოფწყალი"–ს სუბსიდირება,

1.2.3 სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფ. საიმერლოს სარწყავი არხის რეაბილიტაცია,სოფ. კიროვკაში 100 მეტრზე სარწყავი არხის გვერდითი ბეტონით გამაგრება,სოფ. კიროვკაში სარწყავი წყლის მილის შეცვლა 200 მეტრზე.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხის თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტის შესაბამისად 757,5 ათასი ლარი სოფ. დამია გეურარხში მდინარე დებედას ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის.

ტექზედამხედველობის განხორციელებისათვის გათვალისწინებული იქნება თანხა 93,0 ათ.ლარის ოდენობით.

1.2.4 საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ქ. მარნეულში მრავალსართულიანი კორპუსების გარე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია.

1.2.5 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და მიმდინარე რეაბილიტაცია, აგრეთვე ქ.მარნეულში რამდენიმე ქუჩაზე და სოფლებში ჩანახჩი, ენიქენთი, შულავერი,დიოკნისი, ბაითალო, თაქალო და დაშტაფა გარე განათების ქსელის მოწყობა.

ტექზედამხედველობის განხორციელებისათვის გათვალისწინებული იქნება თანხა 10,0 ათ.ლარის ოდენობით.

1.2.6 "აიპ სუფთა მარნეული"–ს დაფინანსება

მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე

მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება,

1.2.7 „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“–ს დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შ.პ.ს. „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“–ს სუბსიდირება, ნაგავსაყრელის სრული დატვირთვით მუშაობის უზრუნველსაყოფად, რაც აუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას.

1.2.8 სასაფლაოების და სარიტუალო სახლების მოწყობა და რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 წელს განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სასაფლაოების მოვლა–შენახვა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის, სარწყავი არხების გამართული მუშაობა, კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტი , გარე განათების გაფართოებული ქსელი, გამართული ნაგავსაყრელი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დღე-ღამეში წყლის მიწოდების ხანგრძლივობა და ხარისხი.
- საირიგაციო ქსელის სიგრძე;
- საცხოვრებელი კორპუსების და ეზოების საკანალიზაციო ქსელის მდგომარეობა;
- განათებული ქუჩების და დასახლებული პუნქტების რაოდენობა;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან თავისუფალი ქალაქი.

1.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

1.3.1 სკვერებისა და პარკების გაშენება–რეკონსტრუქციისა და ქალაქის გამწვანების და მოვლა პატრონობის ღონისძიებები

ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, კერძოდ, სოფ. სიონში საკომუნიკაციო კუთხე და საბავშვო მოედანი ერთ სივრცეში,სოფ. ბეითარაბჩიში კემპინგის მოწყობა (სოფლის მოსახლეობისთვის დასასვენებელი ადგილის), სოფ. ყიზილ–აჯლოში შშმ პირთა სოციალური მომსახურების ცენტრის ეზოს კეთილმოწყობა.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხის თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტის შესაბამისად 225,5 ათასი ლარი ქ. მარნეულში ძეგლის ,,კიდევაც დაიზრდებიან"–მიმდებარე სკვერის რეაბილიტაციისათვის.

ტექზედამხედველობის განხორციელებისათვის გათვალისწინებული იქნება თანხა 30,0 ათ.ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

- მარნეულის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კეთილმოწყობილი დასასვენებელი ადგილების რაოდენობა;

1.4. მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობის მიზნით მისი სუბსიდირება .

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

- მუნიციპალური ტრანსპორტის გამართული მუშაობა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოქმედი მუნიციპალური სატრანსპორტო საშუალებების და რეგულარული რეისების რაოდენობა;

2. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

კოდი	**დასახელება**	**2018 წელი**	**2019 წელი**	**2020 წელი**	**2021 წელი**
04 00	**განათლება**	**2233.3**	**2122.0**	**2072.0**	**2072.0**
04 01	ა(ა) იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ბაგა–ბაღების გაერთიანება „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“–ს დაფინანსება	**2161.3**	**2000.0**	**2000.0**	**2000.0**
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	**72.0**	**72.0**	**72.0**	**72.0**

2.1 ა(ა) იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ბაგა–ბაღების გაერთიანება „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“–ს დაფინანსება

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 13 საბავშვო ბაღი. პროგრამის ფარგლებში მოხდება ააიპ ''სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" სუბსიდირება არსებული საბავშვო ბაღების სასწავლო–აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის, მათი ნორმალური ფუნქციონირების მიზნით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ფენისათვის.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- საბავშვო ბაღების და მათი აღსაზრდელების რაოდენობა;

- კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღები;

2.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოციალური დახმარება მარნეულის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგებისათვის, რომლებიც არ ცხოვრობენ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (თითოეულზე 50 ლარის ოდენობით), ზაფხულის საშვებულებო პერიოდის (ივლისი, აგვისტო) გარდა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში კვალიფიციური პედაგოგების მოზიდვა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მუნიციპალიტეტის ფარგლების გარედან მოწვეული პედაგოგების რაოდენობა;

3. კულტურა, რელიგია , ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. რისთვისაც ერთ–ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ.

კოდი	**დასახელება**	**2018 წელი**	**2019 წელი**	**2020 წელი**	**2021 წელი**
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**	**3301.5**	**3477.0**	**3337.0**	**3477.0**
05 01	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	**1944.5**	**2040.0**	**1800.0**	**1940.0**
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	**20.0**	**10.0**	**10.0**	**10.0**
05 01 02	სპორტული სკოლები	**1100.0**	**1100.0**	**1150.0**	**1150.0**

05 01 03	სპორტული მოედნების მოწყობა, რეაბილიტაცია	**824.5**	**930.0**	**640.0**	**780.0**
0502	**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**	**1020.0**	**1217.0**	**1317.0**	**1317.0**
05 02 01	კულტურის ცენტრის დაფინანსება	**700.0**	**650.0**	**650.0**	**650.0**
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	**167.0**	**167.0**	**167.0**	**167.0**
05 02 03	კულტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	**153.0**	**400.0**	**500.0**	**500.0**
05 03	**ტელე–რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა**	**72.0**	**60.0**	**60.0**	**60.0**
05 04	**რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა**	**265.0**	**160.0**	**160.0**	**160.0**

3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 1000-მდე სპორტსმენს;

3.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება

2018 წლის განმავლობაში, ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები, უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ტურნირებზე და შეჯიბრებებზე ადგილობრივი სპორტსმენების მონაწილეობა, წახალისდებიან წარმატებული სპორტსმენები სხვადასხვა ჯილდოთი.

- აპრილში სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყობა მარათონი;
- აპრილში ჩატარდება მარნეულის ჩემპიონატი ფეხბურთში;
- მაისში მოეწყობა მარნეულის ჩემპიონატი მკლავჭიდში;
- 20 ივნისს ჭადრაკის საერთაშორისო დღეს ჩატარდება მარნეულის ჩემპიონატი ჭადრაკში;

3.1.2 სპორტული სკოლები

2018 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული სკოლა, რომელშიც ფუნქციონირებს „ძიუდოს“, “სპორტული აკრობატიკის“, „ქართული ჭიდაობის“, „ძალისმიერი სამჭიდის“, „კრივის“, „კიკბოქსინგის“, „ტაიკვანდოს“, „ფეხბურთის“ ორი ასაკობრივი ჯგუფის – 12 წლამდე და 16 წლამდე, „კალათბურთის“ ორი ასაკობრივი ჯგუფის – 14 წლამდე და 18 წლამდე სექცია, რომელიც აერთიანებს 1000-მდე სპორტსმენს;

3.1.3 სპორტული ობიექტების მოწყობა, რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოფ. წერეთელში სპორტული მოედნის მოწყობა,სოფ. თამარისში სპორტული დარბაზის მშენებლობა,სოფ. ხოჯორნის სპორტული სტადიონის, ქ.მარნეულში, რუსთაველის ქუჩა 82–ში არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია,სოფ. დამია გეურარხში სპორტული მოედნის მოწყობა, სოფ. თაზაქენდში (სადახლო) სპორტულ დარბაზისათვის სპორტული ინვენტარი შეძენა, სოფ. ალგეთის სპორტულ დარბაზისათვის სპორტული ინვენტარი შეძენა.

ტექზედამხედველობის განხორციელებისათვის გათვალისწინებული იქნება თანხა 43,0 ათ.ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- აქტიური სპორტსმენების რაოდენობის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
- სპორტის სხვადასხვა სახეობაში მედალოსან სპორტსმენთა რაოდენობა;
- სექციებში დაკავებული მოსწავლეების რაოდენობა;

3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: 6 კულტურის სახლი, 1 მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 90-მდე მოსწავლე, 6 ბიბლიოთეკა, 2 მუზეუმი.

პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის ობიექტების მოვლა–პატრონობა და რეაბილიტაცია;

3.2.1 კულტურის ცენტრის დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 წელს გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, 2018 წლის განმავლობაში დაფინანსდება: 6 კულტურის სახლი, 1 მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 90-მდე მოსწავლე, 6 ბიბლიოთეკა, 2 მუზეუმი.

3.2.2 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 წლისთვის დაგეგმილია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. კონკრეტულად კი:

- დედის დღესთან დაკავშირებით – ხანდაზმული დედების მონახულება-(0-75000 ქულა) მარტოხელა დედების, ომში დაღუპულთა და 100 წელს გადაცილებელი ხანდაზმული დედების დასაჩუქრება. (20 - მოქალაქე);
- 8 მარტთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალბატონებისთვის დღესასწაულის მილოცვა და თაიგულებით დასაჩუქრება;
- ნოვრუზ–ბაირამის დღესათან დაკავშირებით გაიმართება სადღესასწაულო ღონისძიება;

- 9 აპრილთან დაკავშირებით გაიმართება ღონისძიებები და მემორიალების გვირგვინებით შემკობა;
- 14 აპრილს დედაენის დღესთან დაკავშირებით, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ახალგაზრდების შეხვედრა თანამედროვე ენათმეცნიერებთან ქართული ენის საკითხებზე. ქ. მარნეულის #6 საშ. სკოლის ეზოში იაკობ გოგებაშვილის ბიუსტის გახსნა;
- 22 აპრილს დედამიწის დღესთან დაკავშირებით გარემოს დაცვითი ღონისძიებები და დასუფთავების აქციების გამართვა;
- 23 აპრილს წიგნის საერთაშორისო დრესთან დაკავშირებით, ახალგაზრდული აქცია „აჩუქე წიგნი ბიბლიოთეკას“ და წიგნის საჯარო კითხვის ღონისძიების გამართვა;
- 29 აპრილს ცეკვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებების გამართვა;
- 9 მაისისთან დაკავშირებით მცირე ღონისძიება და მემორიალის გვირგვინებით შემკობა;
- 14 მაისს თამარობასთან დაკავშირებით სოფელ თამარისში კულტურული ღონისძიების გამართვა;
- 18 მაისს მუზეუმის საერთაშორის დღესთან დაკავშირებით სოფელ წერაქვში „ღამე მუზეუმში“ ღონისძიების გამართვა;
- 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გრანდიოზული ღონისძიება;
- ივნისს გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს, ამ თემასთან დაკავშირებით ნახატების კონკურსის ჩატარება და სანაგვე ურნების მოხატვა „კავკასიის ახალგაზრდული კავშირის“ დახმარებით;
- 26 ივნისს ნარკოტიკებთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს „თანასწორგანმანათლებელთა“ ტრენინგის ჩატარება ცხოვრების ჯანსაღ წესთან დაკავშირებით;
- 18 ივლისს ფოლკლორის დღეებთან დაკავშირებით მარნეულში მოღვაწე ფოლკლორული ანსამბლების გარე კულტურული ღონისძიება და საკრავი ინსტრუმენტების გამოფენა;
- 12 აგვისტოს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კულტურული და სპორტული აქტივობების გამართვა;
- 21 სექტემბერს მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქუჩის კედლების მოხატვა მშვიდობის თემაზე;
- სექტემბერში ყოველწლიური ღვინის ფესტივალის ჩატარება;
- შემოდგომაზე „ეროვნული საშენი მეურნეობის“ დახმარებით გამწვანების აქციის მოწყობა;
- საგანმანათლებლო პროგრამა „ეტალონის“ ჩატარება და წლის მარნეულელი მოსწავლის გამოვლენა;
- ახალი წლის ღამეს გრანდიოზული საახალწლო ღონისძიებების გამართვა;

3.2.3 კულტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. მარნეულში კულტურის სახლის სცენის, ელექტრობის, ფასადის და სახურავის რეაბილიტაცია,სოფ. ხოხმელის კულტურის სახლის რეაბილიტაცია.

ტექზედამხედველობის განხორციელებისათვის გათვალისწინებული იქნება თანხა 8,0 ათ.ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება;

- კულტურის ობიექტების გამართული მუშაობა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- კულტურის ობიექტების რაოდენობა და მდგომარეობა;

3.3 ტელე–რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა

პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ–ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია ტელევიზიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- საზოგადოებისათვის ხარისხიანი საინფორმაციო და სხვა სახის ტელეგადაცემების მიწოდება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სატელევიზიო პროგრამების რაოდენობა;

3.4 რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა

პროგრამის ფარგლებში 2018 წელს განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა, რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდის და მოსახლეების სულიერების ამაღლების მიზნით. კერძოდ 250,0 ათ.ლარით დაფინანსდება „მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია“, ხოლო 15,0 ათ.ლარი განსაზღვრულია რელიგიური დაწესებულებების კომუნალური გადასახადებისათვის.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- მოსახლეობის სულიერი სიმტკიცის, რელიგიური თვითშეგნების ამაღლება;
- სასულიერო ცენტრების რაოდენობის ზრდა;

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების

განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

კოდი	**დასახელება**	**2018 წელი**	**2019 წელი**	**2020 წელი**	**2021 წელი**
06 00	**სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები**	**865.0**	**980.0**	**980.0**	**980.0**
06 01	**საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**	**150.0**	**140.0**	**140.0**	**140.0**
06 02	**სოციალური პროგრამები**	**715.0**	**840.0**	**840.0**	**840.0**
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	**500.0**	**600.0**	**600.0**	**600.0**
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა	**210.0**	**235.0**	**235.0**	**235.0**
06 02 03	სარიტუალო მომსახურება	5.0	5.0	5.0	5.0

4.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსაიმედო სანიტარულ–ეპიდემოლოგიური ფონის შექმნა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

სხვადასხვა ინფექციური და არაგადამდები დაავადებებით მოქალაქეთა დასნებოვნების რაოდენობის მუნიმუმამდე დაყვანა;

4.2 სოციალური პროგრამები

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

4.2.1 ავადმყოფთა სოციალური დაცვა .

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახის სამედიცინო დახმარების გაწევა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამის საფუძველზე:

- 0-დან 120000–მდე სარეიტინგო ქულით შეფასებული ბენეფიციარების მკურნალობითან/და მედიკამენტებით დახმარება არაუმეტეს წელიწადში 200 ლარის ოდენობით;

- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ, მედიკამენტებით დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით,არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით ან 100 ლარის ღირებულების მედიკამენტების შეძენის მიზნით დახმარება გაეწევა მოთხოვნილი თანხის 100%-ის ოდენობით;

- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს, სარეიტინგო ქულით 0–დან 120000–მდე, მედიკამენტებით დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 600 ლარის ოდენობით მედიკამენტებით დახმარება, არაუმეტეს წელიწადში 600 ლარის ოდენობით;

- მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, ოპერაციის ან/ და რეაბილიტაციის ან/და გამოკვლევის ან/და მკურნალობის ან/და მედიკამენტების შეძენის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 800 ლარისა.

- ონკოლოგიური ან/და ლეიკემიით დაავადებულ ბენეფიციარს, დაავადების საჭიროებიდან გამომდინარე, გამოკვლევის ან/და მკურნალობის ან/და ოპერაციის ან/და მედიკამენტების შეძენის მიზნით, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით;

- გულის ოპერაციის დაფინანსების მიზნით ბენეფიციარს, კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერ, დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივ ღირებულების 80%-

ით, არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით;

- 0–დან 120000–მდე სარეიტინგო ქულის ბენეფიციარს ოპერაციის დაფინანსების მიზნით, სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში გაცემული დახმარების შემდეგ, აუნაზღაურდება 200 ლარი და მეტი ოდენობის დარჩენილი თანხის არსებობისას, დასაფარავი თანხის 50%, არაუმეტეს 2000 ლარისა.;

4.2.2 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახის ყოფითი დახმარების გაწევას მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური პროგრამის საფუძველზე.

- ასი და მეტი წლოვანების ხანდაზმულს ერთჯერადად დახმარება 200 ლარის ოდენობით;
- ომისა და სამხედრო ძალების შ.შ.მ ვეტერანს ერთჯერადად დახმარება 200 ლარის ოდენობით;
- 0-დან 120000–მდე სარეიტინგო ქულით შეფასებულ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს ერთჯერადად დახმარება 200 ლარის ოდენობით;
- ახალშობილის დაბადებასთან დაკავშირებით, მისი დაბადებიდან ორი კალენდარული თვის ვადაში განცხადების წარმოდგენისას, იძულებით გადაადგილებულ პირს – დევნილს დახმარება გაეწევა პირველ და მე-2 ბავშვზე 200 ლარის ოდენობით, ყოველ მომდევნო ბავშვზე გასაცემი თანხა გაიზრდება 100 ლარის ოდენობით.
- 0–დან 80000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე არასრულწლოვანი შვილის მარტოხელა დედას ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით;
- 0-დან 120000–მდე სარეიტინგო ქულით შეფასებულ 4 და მეტი რაოდენობის, არასრულწლოვანი შვილის ოჯახებს ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით;
- ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, იძულებით გადაადგილებულ პირს–დევნილ ოჯახებს, დედ–მამით ობოლ არასრულწლოვან ბენეფიციარს და ომში დაღუპული მეომრის ოჯახებს გაეწევათ დახმარება ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით;
- ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, თითოეულ უსინათლოსა და ყრუ–მუნჯ მოქალაქეს გაეწევათ დახმარება ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით;
- არასრულწლოვანი ასაკის შ.შ.მ ონკოლოგიური ან/და ლეიკებიით დაავადებულ ბენეფიციარს ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით;
- 0–დან 15000–მდე სარეიტინგო ქულით შეფასებულ ბენეფიციარს დახმარება ერთჯერადად 200 ლარის ოდენობით;
- დედ–მამით ობოლ არასრულწლოვან ბენეფიციარს ყოველთვიურად 150 ლარის დახმარება;
- 57000–დან 60000–მდე სარეიტინგო ქულით შეფასებულ სოციალურად დაუცველ ოჯახებს ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით დახმარება;
- უსინათლოებსა და ყრუ მუნჯ ბენეფიციარებს ყოველთვიურად 40 ლარის ოდენობით დახმარება;
- დიალეზზე მყოფ ბენეფიციარებს, ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურების მიზნით, დახმარება გაეწევათ კალენდარული წლის განმავლობაში ყოველთვიურად, ქ. მარნეულის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ბენეფიციარს 20 ლარის ოდენობით, ყიზილ-აჯლოსა და ალგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ბენეფიციარს 30 ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტის სხვა დანარჩენ ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს 50 ლარის ოდენობით.
- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეომართა ოჯახებს, კალენდარული წლის განმავლობაში, ყოველთვიურად დახმარება გაეწევათ 100 ლარის ოდენობით, ხოლო კალენდარული წლის აგვისტოს თვეში (8 აგვისტოსთან დაკავშირებით) 500 ლარის ოდენობით. ასევე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს, კალენდარული წლის მაისის თვეში, (9 მაისთან დაკავშირებით) ერთჯერადი საჩუქრის სახით დახმარება გაეწევათ 250 ლარის ოდენობის თანხით.
- მკვეთრად გამოხატული შ.შ.მ პირის ერთჯერადად დახმარების მიზნით საჭიროების შესაბამისად ეტლის შეძენა;

- 0-დან 120000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახიდან 2 ან მეტი სტუდენტის ყოლისას საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დაფინანსება 500 ლარის ოდენობით;
- 0-დან 120000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახიდან დედით ან/და მამით ობოლ ბენეფიციარს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დაფინანსება 500 ლარის ოდენობით;
- დედით და მამით ობოლ ბენეფიციარს, რომელიც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევა 500 ლარის ოდენობით;
- იძულებით გადაადგილებული პირთა – დევნილთა ოჯახებს, რომელთა შვილიც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამაზე, სწავლის დაფინანსების მიზნით, დახმარება გაეწევათ 500 ლარის ოდენობით.
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შვილებს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის დაფინანსება 500 ლარის ოდენობით;
- მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში ან კანონიერ წარმომადგენელთან (მეურვე, მზრუნველი) რეინტეგრირებულ არასრულწლოვან ბენეფიციარს დახმარება გაეწევა კალენდარული წლის განმავლობაში ყოველთვიურად, 20 ლარის ოდნეობით.

4.2.3 სარიტუალო მომსახურება

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარდაცვალების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მომართვისას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას 250 ლარის ოდენობის თანხით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთაც გაეწიათ სხვადასხვა ყოფითი სახის დახმარება;
- მოსახლეობის სოციალური დახმარებების დროული უზრუნველყოფა;

5. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

კოდი	დასახელება	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი
01 00	**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება**	4554.9	4994.2	4307.4	4267.6
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	829.2	831.3	832.3	832.3
01 02	მუნიციპალიტეტის მერია	3368.8	3843.9	3253.4	3305.4
01 03	სარეზერვო ფონდი	130.0	130.0	130.0	130.0
01 04	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	226.9	189.1	91.8	0.0

6. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

კოდი	დასახელება	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი
02 00	**თავდაცვა , საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**	**177.3**	**172.7**	**172.7**	**172.7**
02 01	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	**177.3**	**172.7**	**172.7**	**172.7**

6.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მარნეულის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის,სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით უზრუნველყოფა;

შეთანხმებულია:

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი — თემურ აბაზოვი

მერის პირველი მოადგილე — ზაურ ტაბატაძე

მერის მოადგილე — ლაშა ლობჯანიძე

ეკონომიკის სამსახურის უფროსის

მოვალეობის შემსრულებელი — დავით ხარშილაძე

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის

უფროსი — ლერი ფანგანი

ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის,

კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი — გიორგი მეურმიშვილი

მოამზადა:

საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი